



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

22/03/2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	შპს კავკასიის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
უმაღლესი განათლების საფეხური	მე-2
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მედიცინა 0912
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	360
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	30.03.2018 №46

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფესორი მიჰაი ბოროში ალბერტ სენტ-გიორგის სამედიცინო სკოლა, სეგედის უნივერსიტეტი, უნგრეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	პროფესორი ირინე ფხაკაძე

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გოდერიძე, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლა, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფესორი მარინე თოიძე დიაგნოსტიკური ცენტრი, კავკასიის სამედიცინო ცენტრი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მღვდელაძე, დოქტორანტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

კავკასიის უნივერსიტეტის (შემდგომში, დაწესებულების) დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანმა ინგლისურენოვანმა საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2018 წელს, ხოლო პროგრამის განხორციელება 2020 წლის სექტემბერში დაიწყო. პროგრამა ეფუძნებოდა სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის ხარისხის განვითარების გლობალურ სტანდარტებს (WFME, 2020) და სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) სახელმძღვანელო მითითებებს. გასულ სემესტრებში გამოყენებული იყო WFME-ის „განაწილებული და დისტანციური სწავლების სტანდარტი“, როდესაც კურსისა და მოდულის განრიგი შეიცვალა კორონავირუსის პანდემიის აფეთქებების დროს. ამ პერიოდში სტუდენტთა მობილობა შეიზღუდა და კლინიკური კომპონენტები დროებით შეიცვალა თეორიული ნაწილებით. მიუხედავად ამისა, დაინერგა დისტანციური, ელექტრონული სწავლება, გაიზარდა წვდომა კლინიკური უნარების ლაბორატორიის სიმულატორებზე და ყველა ამ მეთოდის, მიდგომისა და რესურსის გამოყენებით მოხდა პროგრამის წარმატებით შენარჩუნება წინასწარ განსაზღვრულ დონეზე.

დაწესებულების მიერ მოწოდებული აღწერითი სტატისტიკის მიხედვით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ამჟამად 92-ია, სამეცნიერო პერსონალის დასაქმების გარეშე. აქტიური სტატუსის მქონე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობაა 141; მათგან 67 კვალიფიცირებულია როგორც უცხოელი სტუდენტი. პროგრამა უკვე მიუახლოვდა პირველი (ძირითადი, პრეკლინიკური) ეტაპის დასასრულს, რომელიც მოიცავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, უცხო ენას და ჰორიზონტალურად ინტეგრირებულ მოდულებს სხეულის სისტემების სტრუქტურასა და ფუნქციებზე (და არა მხოლოდ). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პირველი სტუდენტები ახლა V სემესტრს გადაიან და ეს ასევე ნიშნავს, რომ პროგრამა არ არის დასრულებული, საბოლოო გამოცდის შედეგები, კურსდამთავრებულების ან დამსაქმებლის უკუკავშირი ჯერ არ არის ხელმისაწვდომი.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ეს ანგარიში შეადგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ დანიშნულმა ექსპერტთა ჯგუფმა, რომელმაც დაწესებულების საბაკალავრო სამედიცინო პროგრამის შეფასება განხორციელა კოლეგიალურ განხილვაზე დაყრდნობით, თვითშეფასების ანგარიშის (SER), დამხმარე დოკუმენტაციისა და დაწესებულებაში ვიზიტის საფუძველზე. თვითშეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები ექსპერტთა ჯგუფს გადაეგზავნა 2022 წლის 14 იანვარს. არსებული მონაცემები შეფასდა დაწესებულებაში ვიზიტამდე აკრედიტაციის სტანდარტების, მედიცინის დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით და დოკუმენტაციის ანალიზმა მოიცვა 2018 წლის აკრედიტაციის ანგარიშის დამატებითი მონაცემებიც, რომლებიც ცენტრის მიერ მოწოდებული იქნა დაწესებულებაში ვიზიტის დღეს. ამგვარად, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შედარების შესაძლებლობაც, ანუ შეეფასებინა, რამდენად გაითვალისწინა დაწესებულებამ ექსპერტების მიერ მანამდე შემუშავებული წინადადებები და რეკომენდაციები.

მონაცემები შეიცავდა საკმარის ინფორმაციას პროგრამის ხარისხის, კურსის შინაარსის, განხორციელებისა და შეფასების შესაფასებლად. აღმოჩნდა, რომ თვითშეფასების ანგარიში შემუშავებული იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) სტანდარტების მიხედვით. დოკუმენტების ნაკრები მოიცავდა სასწავლო საგნების პრეზენტაციას სემესტრების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და თითოეული საგნისთვის მინიჭებული ECTS ქულების ოდენობას. მოწოდებულ იქნა საგნების სილაბუსებისთვის ჩატარებული ლექციების და პრაქტიკის რაოდენობა, ასევე წარმოდგენილი იყო ინფორმაცია პედაგოგების, ტრენერების და მათი კვალიფიკაციის/გამოცდილების (CV-ების) შესახებ. ჯგუფის თითოეულმა ექსპერტმა, საკუთარი კომპეტენციის შესაბამისად, შეარჩია 1 ან 2 სტანდარტი და გამოავლინა მზაობა, რომ შეესრულებინა წამყვანი როლი ამ სტანდარტების შესწავლაში.

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 3-4 თებერვალს ჰიბრიდული ფორმით, კორონავირუსით გამოწვეული შეზღუდვების გამო. 2022 წლის 3 თებერვალს ექსპერტთა ჯგუფმა გამართა შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, რომელსაც ესწრებოდნენ პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი აკადემიურ საკითხებში, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი, მედიცინის სკოლის დეკანი და საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების დეპარტამენტის დირექტორი. ჯგუფს შემდეგ ჰქონდა მოკლე ტური დაწესებულების, სალექციო ოთახებისა და აუდიტორიის, სტუდენტური ლაბორატორიის, ბიბლიოთეკის, უნარების ლაბორატორიის (სიმულაციური ცენტრის), სადაც OSCE სტენდებია და მთავარი შენობის სხვა შესაბამისი ნაწილების მოსანახულებლად. შემდეგ, ჯგუფმა მოინახულა ორი სასწავლო ბაზა, რეიმანისა და თოდუას კლინიკები, ხოლო 2022 წლის 4 თებერვალს, მთელი დღის განმავლობაში გვექონდა ონლაინ შეხვედრა ზუმის პლატფორმით კითხვა-პასუხის რეჟიმში უსდ-ის თანამშრომლებთან, რომლებიც არ ესწრებოდნენ ამ წინასწარ შეთანხმებულ შეხვედრებს, კერძოდ:

- სამუშაო ჯგუფთან, რომელმაც შეადგინა თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელებთან;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

- პრაქტიკოს პედაგოგებთან/ხელმძღვანელებთან;
- დამსაქმებლების წარმომადგენლებთან;
- სტუდენტების წარმომადგენლებთან;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან.

საბოლოოდ, მოეწყო ბოლო შეხვედრა დაწესებულების წარმომადგენლებთან ძირითადი დასკვნების წარმოსაჩენად, და მოკლედ იქნა განხილული მიღებული შედეგები.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა შეხვედრა და ვიზიტი მიმდინარეობდა გარემოში, სადაც დიდი მხარდაჭერა იგრძნობოდა. ჯგუფი მადლობას უხდის NCEQE-ს წარმომადგენელს დახმარებისა და მხარდაჭერისთვის დაწესებულებაში ვიზიტამდე, მისი მიმდინარეობის დროს და მის შემდეგ.

დასკვნის პროექტი წარდგენილ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2022 წლის 08 მარტს და დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია მიღებული იქნა ექსპერტთა მიერ 2022 წლის 18 მარტს. კომენტარები განხილული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომელმაც მიიჩნია, რომ რეტროსპექტული განმარტებები და ფაქტობრივი მიზეზები, რომელიც უსდ-მ წარმოადგინა არ იყო საკმარისი იმისათვის, რათა ცვლილებები შესულიყო რეკომენდაციებსა და რჩევებში, რომლებიც დასკვნის პროექტში იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, საბოლოო დასკვნა წარდგენილი იქნა 2022 წლის 22 მარტს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

დაწესებულების დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა ეტაპობრივად შეფასდა NCEQE-ის სტანდარტების მიხედვით. ამ პერსპექტივიდან ექსპერტთა ჯგუფმა გამოთქვა საერთო მოსაზრება, რომ პროგრამა აჩვენებს სტაბილურ ფონს ძლიერი ხელმძღვანელობისა და დინამიური განვითარების გზით. რაც შეეხება განათლების ამჟამინდელ მდგომარეობას, გარე კოლექტიურმა მიმოხილვამ გამოავლინა მრავალი ძირითადი ძლიერი მხარე შემდეგნაირად.

1. პერსონალის ყველა წევრმა გამოავლინა ენთუზიაზმი და ერთგულება დაწესებულების ხედვაში გამოხატული ღირებულებების მიმართ. როგორც სტუდენტები, ასევე მასწავლებლები გრძნობენ მტკიცე ვალდებულებას შეიძინონ პროფესიონალიზმისა და პრობლემების გადაჭრის სამედიცინო უნარების მაღალი დონე, რომელზედაც შეიძლება დაშენდეს შემდგომი კლინიკური სწავლება და სამედიცინო პრაქტიკა.
2. აშკარად ჩანდა შესანიშნავი გუნდური მუშაობა განვითარების ყველა სფეროში. კლინიკური და თეორიული ნაწილების დაკავშირება ადრეულ წლებში, განსაკუთრებით კლინიკური უნარების ცენტრის მეშვეობით, არის ტრანსფერული უნარების განვითარების კარგი მაგალითი, პროფესიული საზღვრების არსებობის მიუხედავად.
3. დაინტერესებული, აქტიური, კარგი ხარისხის მქონე სტუდენტები, გამოცდილი პერსონალი, რომელიც ეწევა სამედიცინო კვლევებს.

მოკლედ, პროგრამა შეიძლება დაეფუძნოს არსებულ საგანმანათლებლო სისტემას საერთაშორისო აღიარების მქონე უნივერსიტეტში. თუმცა არის რამდენიმე ელემენტი,

რომელთა მიხედვითაც პროგრამა ან მისი კომპონენტები სრულად არ შეესაბამება მოთხოვნებს, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნებულია, რომ დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა გამოასწოროს ეს ხარვეზები უახლოეს მომავალში.

- სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება
- სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია მეტწილად
შეესაბამება
- სტანდარტი 3. სტუდენტების მიღწევები შეესაბამება
- სტანდარტი 4. სასწავლო რესურსების უზრუნველყოფა მეტწილად
შეესაბამება
- სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარება შეესაბამება

▪ **რეკომენდაციები**

1.1.

- უსდ-ს უნდა ჰქონდეს მკაფიო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთკავშირს სამედიცინო განათლებასა და სამედიცინო კვლევებს შორის. საჭიროა გეგმების დასახვა სამეცნიერო სტრატეგიის ფარგლებში. ამ კუთხით, საჭიროა სამეცნიერო/კვლევითი სტრატეგია, რომელიც კონკრეტულად შეეხება მედიცინის სკოლის ადამიანური რესურსების განვითარების გეგმებს.

2.2.

- რეკომენდებულია საქართველოს განათლების სამინისტროს №3 ბრძანების მიხედვით დამატებითი კრედიტების რაოდენობის მიღების საკითხის დაზუსტება, ამ ბრძანების საფუძველზე დამატებითი კრედიტების (15 კრ.) მიღება დასაშვებია პროგრამის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში (6 წელში).

○ **2.3.**

- რეკომენდებულია სწავლის შედეგების მკაფიოდ განსაზღვრა სასწავლო კურსებში და კომპეტენციების რუკაში.
- საჭიროა კომპეტენციების რუკის კურსის/მოდულის სილაბუსებთან შესაბამისობაში მოყვანა.
- საჭიროა 2002, 2005, 2006, 2008 წლებში გამოცემული სავალდებულო ლიტერატურის განახლება;
- კომპეტენციის რუკა (დონეები პირველიდან მესამემდე) უფრო მკაფიოდ უნდა გამოხატავდეს სტუდენტების წინსვლას.

2.4.

- უნდა განისაზღვროს მე-12 სემესტრში საკურსო მუშაობაში ჩართული მენტორების და სტუდენტების პასუხისმგებლობა, ხელმძღვანელობის წესები, შინაარსისა და ფორმატის მოთხოვნებთან და ნაშრომის დაცვის ზუსტ წესებთან ერთად.

2.6.

- რეკომენდებულია ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდისა და სხვა თანამედროვე შეფასების მეთოდების გამოყენება სწავლის შედეგების/კომპეტენციების შეფასებისთვის კლინიკურ საგნებში.
- რეკომენდებულია ყველა სწავლის შედეგის და კომპეტენციის შეფასება სასწავლო კურსებში.

4.1.

- მკაფიოდ განისაზღვროს კლინიკური ხელმძღვანელების როლი და ადგილი პროგრამაში მათი ფუნქციების ჩათვლით. კლინიკური მენტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება დარგობრივი მახასიათებლებით; შესაბამისობის დონე რეგულარულად უნდა შემოწმდეს.

4.2

- სამეცნიერო, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ყველა წევრის სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვისთვის რეკომენდებულია აკადემიური მრჩეველთა საბჭოს ან მსგავსი ორგანოს შექმნა მედიცინის სკოლის პრიორიტეტულ კვლევით თემებზე მუშაობის გაძლიერების მიზნით.

○ 4.3.

- რეკომენდებულია განახლდეს კლინიკური უნარების ლაბორატორია სტუდენტების შესაბამისი რაოდენობის პრაქტიკის და სწავლების მიზნით;
- სილაბუსებში ჩამოთვლილი სასწავლო მასალა, რეკომენდებული ტომები (ნაბეჭდი ან ელექტრონული ვერსიები) უნდა იყოს ხელმისაწვდომი და განახლებული. პროგრამა არის ახალი; ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ უახლესი გამოცემები იყოს ხელმისაწვდომი შესაბამისი რაოდენობით.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1.1.

- საჭიროა ინტერნაციონალიზაციის ეფექტური მონიტორინგი და თანამშრომლობის სტრატეგიის შემუშავება, სხვა ქართულ უსდ-ებთან დაკავშირება (რაც თავის მხრივ შეიძლება ითვალისწინებდეს კვლევებს და განათლების გაუმჯობესებას), რათა გაძლიერდეს სინერგია საქართველოს უნივერსიტეტების სამედიცინო სკოლებს შორის (მაგ. კოლეგების მოწვევა სადისერტაციო ნაშრომების სახელმძღვანელოდ, ერთობლივი პროექტები და ა.შ.). თანამშრომლობითი ძალისხმევის რაოდენობა (გრანტები, ფონდები, პროექტები, ნაშრომები, დისერტაციები) იქნება კარგი მაჩვენებელი სამომავლოდ.
- მომგებიანი იქნება სტუდენტების სასწავლო გეგმებზე დაფუძნებული კვლევითი სამუშაოების შემდგომი გაძლიერება (მაგ. არჩევითი კურსები მათთვის, ვინც მონაწილეობს სტუდენტურ სამეცნიერო წრეებში, სპეციალურ ორგანიზებულ ჟურნალების კლუბებში და ა.შ.).
- დაინტერესებული მხარეები უკეთესად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი დაწესებულების სტუდენტური თვითმმართველობის რეგულაციების შესახებ სამედიცინო სტუდენტების ახალ ჯგუფთან დაკავშირებით.

- წარმოდგენილი უნდა იქნეს მედიცინის სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა, რათა მოხდეს მისი ნაწილების ფუნქციონირების, მათ შორის კავშირებისა და შესაძლო გადაფარვების უკეთ ვიზუალიზაცია.
- უნდა განისაზღვროს მე-12 სემესტრში საკურსო მუშაობაში ჩართული მენტორების და სტუდენტების პასუხისმგებლობა, ხელმძღვანელობის წესები, შინაარსისა და ფორმატის მოთხოვნებთან და ნაშრომის დაცვის ზუსტ წესებთან ერთად.
- უსდ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია შეიძლება მოიცავდეს ადგილობრივ საზოგადოებაში შეტანილ წვლილს (მესამე მისია) - ეს კონცეფცია ფართოდ არ არის განხილული დოკუმენტებში. დაწესებულების მონაწილეობა საზოგადოებაზე დაფუძნებულ პროექტებში (მაგ. ვაქცინაციისთვის დახმარების გაწევა და ა.შ.) გააძლიერებს ხილვადობას და საზოგადოებასთან ურთიერთობას.
- დაწესებულებამ შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი, რომელიც მოიცავს პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და კორექტირების ეტაპებს (სასწავლო გეგმის შინაარსის განსაზღვრა განახლების შემთხვევაში, ან შეცვლა, საჭიროების შემთხვევაში) და ყოველი ეტაპი მოითხოვს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას. სტუდენტებისა და დამსაქმებლების შემთხვევაში საჭიროა უფრო აქტიური მონაწილეობა ამ სამომავლო აქტივობებში.
- დაწესებულებას შემუშავებული აქვს მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, მაგრამ შესაძლოა დროული იყოს ევროპულ (GDPR) რეგულაციასთან მისი შესაბამისობის გადახედვა.

1.2

- მოსალოდნელია, რომ უნარ-ჩვევების ცენტრის ბაზა გამოყენებული იქნება როგორც ამოსავალი წერტილი პრაქტიკული სწავლების ხარისხისა და წონის გასაზრდელად და, შესაბამისად, სასურველია განვითარების მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიები უფრო რთული სიმულაციებითა და სცენარებით (მაღალი სიზუსტის კომპიუტერიზებული პაციენტის სიმულატორებით), რაც შეიძლება შემდგომში ჩართული იქნეს სასწავლო გეგმაში.
- დროული გაფრთხილება იქნება, რომ შემუშავდეს მენტორობის უფრო ეფექტური მექანიზმი, როგორცაა რეგულარული შეხვედრები, დისკუსიები სტუდენტებს, კლინიკურ მენტორებსა და უსდ-ის ხელმძღვანელებს შორის კლინიკური სწავლების მეთოდის ეფექტიანობის გაანალიზებისათვის. კლინიკურ მენტორად წარდგენის წესები და კვალიფიკაცია უფრო მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული კატეგორიების მიხედვით, ხოლო პერსონალური განვითარების გეგმები საჭიროა კლინიკური პერსონალისათვის.

2.2.

- რეკომენდებულია პროგრამაში არჩევითი საგნების კრედიტების რაოდენობის გაზრდა.
- საჭიროა პროგრამის ვერტიკალური ინტეგრაციის გაზრდა.

2.3.

- სასურველია სასწავლო კურსების (ბიოქიმია, ფიზიოლოგია) პრაქტიკული კომპონენტისა და ლაბორატორიული მუშაობის გაუმჯობესება.
- სასწავლო გეგმის რუკის ზოგიერთი კომპონენტი შეიძლება თემატურად უფრო თავსებადი გახდეს საბოლოო სწავლის შედეგებთან (მაგ. ფარმაცოლოგია, რადიოლოგია, მიკრობიოლოგია).

2.4.

- სასურველია კლინიკური უნარების ლაბორატორიაში სპეციალისტის/მენტორების დაქირავება, რომლებიც ხელს შეუწყობენ სტუდენტების სასწავლო პროცესს და დააკმაყოფილებენ მათ საჭიროებებს.

2.5.

- სასურველია ინტენსიურად იქნეს გამოყენებული თანამედროვე სწავლების მეთოდები.

• 3.1.

- პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში აუცილებელია სტუდენტებთან მჭიდრო და რეგულარული კომუნიკაცია და მათი შეხედულებების გაზიარება.

4.1.

- აკადემიური პერსონალი ჩართული იყო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაში, თუმცა პროგრამის შემუშავების მიზნით შეიძლება არსებობდეს უფრო ძლიერი კავშირები შესაბამის შრომის ბაზართან და დამსაქმებლებთან.
- საჭირო იქნება დეტალური ანალიზი როგორც სწავლების შესაძლებლობების, ასევე პერსონალის მოტივაციისა და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით პრე-კლინიკური წლების განმავლობაში.
- დაწესებულებამ უნდა აჩვენოს მეთოდოლოგია მედიცინის სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დასადგენად, სადაც ნაჩვენები იქნება აკადემიური საათების მინიმალური რაოდენობა და სასწავლო დატვირთვა.
- სასურველია პერსონალის მართვის პოლიტიკის და დატვირთვის გამჭვირვალე სქემის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის ეფექტურ ჩართულობას სამედიცინო განათლების პროცესში.

4.2.

- თუ არსებობს სამომავლო კვლევითი პროექტების განსახორციელებლად გარე დაფინანსების მოძიების საჭიროება, მაშინ დაწესებულებამ, შესაძლოა, განიხილოს აკადემიური პერსონალის უზრუნველყოფა ექსპერტის დახმარებითა და ტრენინგებით საგრანტო განაცხადებისა და საპროექტო წინადადებების შემუშავების კუთხით.
- სასარგებლო იქნება კვლევის შედეგების მუდმივი და სისტემატური მონიტორინგი პირველი წლების განმავლობაში პროგრამის ხარისხისა და საერთაშორისო ხილვადობის გაზრდის მიზნით.

4.3.

- უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გააუმჯობესოს ლაბორატორიის ინფრასტრუქტურა, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტებს გამოცდილების შექმნაში. ლაბორატორიები აღჭურვილია პრაქტიკული კურსებისთვის პათოლოგიაში (მიკროსკოპები) და ბიოქიმიაში, თუმცა საჭიროა დამატებითი გაუმჯობესება, რათა ისინი შესაბამისი იყოს უფრო კომპლექსური დემოსტრაციებისთვის ან სამეცნიერო კვლევებისთვის.
- კლინიკურ განათლებაში სასურველია მთავარი სასწავლო ბაზების (კლინიკური საავადმყოფოების) რეგულარული შეფასება იმის დასადგენად, თუ რამდენად შესაბამისი და ხარისხიანია პრაქტიკული სასწავლო პროგრამისთვის. ასევე

სასურველია, განსაზღვრული შესრულების ინდიკატორების მონიტორინგის, შეფასებისა და განახლების მექანიზმები.

4.4.

- გამჭვირვალე უნდა იყოს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის შემოსავლები და ხარჯები და მთლიანად სამედიცინო განათლების ინტეგრირება დაწესებულების ფისკალურ მიმართულებაში. უნდა დარეგულირდეს ბიუჯეტის გადანაწილების წესი და საგანმანათლებლო ერთეულებს შორის შიდა გადანაწილების წესი თუ გადაწყვეტილებები.
- შიდა დაფინანსების მობილიზების დამატებითი შესაძლებლობის შემთხვევაში, განსაკუთრებით გრანტებისა და სამეცნიერო აქტივობების მხარდაჭერა უნდა მოხდეს გამჭვირვალედ.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- 2018 წლის აკრედიტაციის ანგარიშის რეკომენდაციების მიღების შემდეგ დაწესებულებამ პროგრამაში შეიტანა შემდეგი ცვლილებები: 1. სილაბუსებში დაზუსტებულია შეფასების კომპონენტები და ინდივიდუალური ქულების კრიტერიუმები; დადგენილია შეფასების გარკვეული კრიტერიუმები; 2. უცხო ენის კურსში ქართულის პარალელურად, ქართველი სტუდენტებისთვის მეორე უცხო ენად დაემატა გერმანული და ფრანგული ენები, რითაც აღმოიფხვრა წინა ასიმეტრია; 3. მომზადდა ახალი ხელშეკრულების ფორმები პარტნიორ დაწესებულებებთან, სადაც მოცემულია კლინიკურ ბაზაზე/ლაბორატორიაში ჩასატარებელი კურსები, მათი ხანგრძლივობა, სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში და სივრცე, რომელიც გამოიყოფა სასწავლო პროცესისთვის.
- პანდემიის გამო შეიცვალა საზოგადოებრივი ჯანდაცვის კურსის სილაბუსების პრიორიტეტები და გაფართოვდა მისი სფერო. ასევე დაემატა კრიტიკული მედიცინისა და ინფექციური დაავადებების კურსებისთვის გამოყოფილი საათები.
- არჩევით საგანს დაემატა ელექტრონული ჯანდაცვის კურსი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები მიიღებენ ცოდნას ტელემედიცინის, დისტანციური სწავლების, ხელოვნური ინტელექტის ჯანდაცვის პორტალების, პაციენტების ინფორმაციისა და მობილური ინტელექტის სისტემების შესახებ.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მკაფიოდ არის განსაზღვრული დაწესებულების მისია; მისი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა მიზნად ისახავს მზრუნველი, კომპეტენტური, თავდაჯერებული ექიმების განვითარებას შედეგზე დაფუძნებული სწავლების მიდგომებით. პროგრამა უზრუნველყოფს ცოდნას, აზროვნებას, ავტონომიას, პასუხისმგებლობას და პრაქტიკულ/კლინიკურ უნარებს, რომლებიც აუცილებელია პროფესიული განვითარებისთვის, სამაგისტრო პროგრამაზე სწავლისთვის და წარმატებული სამედიცინო პრაქტიკისთვის. პროგრამა მიზნად ისახავს 2030 წლისთვის შევიდეს პირველ სამეულში საქართველოში და რეგიონის პირველ ათეულში ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და მათი საერთაშორისო და სამეცნიერო პოტენციალის თვალსაზრისით. 2022 წლიდან გააქტიურებულია საერთაშორისო თანამშრომლობა, სტუდენტებისთვის დაგეგმილია გაცვლითი პროგრამები კლინიკური პრაქტიკით პარტნიორ ორგანიზაციებთან (ბასკენტის უნივერსიტეტი და ვილნიუსის უნივერსიტეტი).

ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ მთავარი მონაწილეები იცნობდნენ მისიას და მის ძირითად ნაწილებს. უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა. როგორც ჩანს, ეს პროცესები თანამშრომლობითი ხასიათისაა, მასში ჩართულები არიან რიგი დაინტერესებული მხარეები - ესეც დადასტურდა ინტერვიუების დროს. ამ გზით შესაძლებელია შიდა პერსპექტივებისა და გარე საჭიროებების წინ წამოწევა. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა დამტკიცდა 2018 წელს, ის ეფუძნება ECTS სისტემას (360 ECTS კრედიტით) და სტუდენტზეა ორიენტირებული, მთლიანობაში სტრუქტურა გასაგებია. ექსპერტთა ჯგუფი შეთანხმდა, რომ მისაღები სტუდენტების რაოდენობა და სტუდენტთა/პედაგოგთა არსებული თანაფარდობა ადეკვატურად არის დაგეგმილი და ხელს შეუწყობს სასწავლო პროგრამის განხორციელებას სწავლების შესაბამისი მეთოდებით. დაწესებულება იყენებს რამდენიმე სტანდარტულ და თანამედროვე ტექნოლოგიას სწავლის შედეგების გასაზომად, ზოგადად სწავლის შედეგები ლოგიკურად არის განაწილებული, მოთხოვნები კარგად არის განსაზღვრული და მეტწილად შეესაბამება მედიცინის დარგობრივი

მახასიათებლის სწავლის შედეგებს. შესადარებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კურსების შინაარსი, მასშტაბი და თანმიმდევრობა და აღწერილი აქვს კურიკულუმის სხვა ელემენტები, მათ შორის ბალანსი ძირითად და არჩევით კონტენტს შორის. ძირითადი (I) საგნების სწავლების ინტეგრირებულ ფაქტორად შეირჩევა ადამიანის ორგანოთა სისტემები და მათ ირგვლივ ერთიანდება ძირითადი დისციპლინები (ანატომია, ფიზიოლოგია და სხვ.). ამ მხრივ სასწავლო გეგმა ნაწილობრივ ინტეგრირებულია, მოიცავს როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური ინტეგრაციის ელემენტებს. პროგრამა ასწავლის მეცნიერული მეთოდის პრინციპებს და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მედიცინას, მათ შორის ანალიტიკურ და კრიტიკულ აზროვნებას, გარდა ამისა, აერთიანებს ქცევის, სოციალური მეცნიერებებისა და სამედიცინო ეთიკის წვლილს ეფექტური კომუნიკაციის კურსებთან ერთად. ამ პროცესმა ჩარიცხულ სტუდენტებში უნდა განავითაროს შესაბამისი კლინიკური პასუხისმგებლობის აღების უნარები, რათა მათ გააგრძელონ პიროვნული განვითარება სწავლის დამთავრების შემდეგ, როგორც პროფესიონალებმა და მომავალმა კოლეგებმა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ მიზანი სწორად არის აღწერილი, მაშინ დაწესებულების ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა უნდა იყოს ორიენტირებული არა მხოლოდ საბაზისო სამედიცინო და კლინიკურ ცოდნაზე, არამედ იმ კომპეტენციების განვითარებაზე, რომლებიც საჭიროა სწავლის დამთავრების შემდგომი პრაქტიკისთვის, სამედიცინო მეცნიერებებისთვის და მედიცინის წინსვლაში მონაწილეობისთვის.

პროგრამა უზრუნველყოფს ქართული ენის კურსებს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სწავლების ენა არის ინგლისური, სავარაუდოა, რომ შემდგომ სემესტრებში საჭირო იქნება მეტი აქცენტი და დამატებითი, სპეციალური სასწავლო კურსები სამედიცინო კომუნიკაციისთვის ქართულ ენაზე (შესაძლოა, უნარების ცენტრში სიმულირებული პაციენტების მეშვეობით).

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ აჩვენა თავისი ვალდებულება სამეცნიერო კვლევების განვითარებისადმი, მაგრამ პოლიტიკას აკლია მნიშვნელოვანი დეტალები. საჭიროა გეგმები, სადაც აქცენტი იქნება კონკრეტულ კვლევით სფეროებზე (მაგ., „საბაზისო მეცნიერებაზე“ ან „კლინიკურ კვლევებზე“) და პრიორიტეტებზე (მაგ., „რადიოლოგიაზე“ ან „ქცევით მეცნიერებებზე“ და ა.შ.). უფრო პირდაპირ, ეს გეგმები დასახული უნდა იყოს სამეცნიერო სტრატეგიაში (მხარდაჭერის/დაფინანსების გეგმებით, განსაკუთრებით, მაგალითად, კლინიკის ექიმებისა და ახალგაზრდა მკვლევარების მიერ; უნდა დაისახოს არჩეული კლინიკური კვლევის პროექტის დაფინანსების გეგმები, სამეცნიერო/კლინიკური კვლევის ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმები, და ა.შ.). კვლევაზე მიმართული სახსრების დაგეგმილი განაწილება უნდა ეფუძნებოდეს ხარისხის კრიტერიუმებს, კონკურენტული აქტივობებისთვის უნდა განხორციელდეს სქემები; საჭიროა კვლევის ხარისხის აღიარება რაოდენობრივი პარამეტრებისა და თვისებრივი აღმწერების, მეცნიერომეტრიული ინდიკატორების გამოყენებით (მაგ. პირველი ან ბოლო ავტორი Q1 ან Q2 პერიოდულ გამოცემებში, სტუდენტებთან თანაავტორობა სამეცნიერო ნაშრომებში და ა.შ.). ამ კუთხით, საჭიროა სამეცნიერო/კვლევითი სტრატეგია, რომელიც კონკრეტულად შეეხება მედიცინის სკოლის ადამიანური რესურსების განვითარების გეგმებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში

- ინტერვიუების შედეგები
- დაწესებულებაში ვიზიტი
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

- უსდ-ს უნდა ჰქონდეს მკაფიო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთკავშირს სამედიცინო განათლებასა და სამედიცინო კვლევებს შორის. საჭიროა გეგმების დასახვა სამეცნიერო სტრატეგიის ფარგლებში. ამ კუთხით, საჭიროა სამეცნიერო/კვლევითი სტრატეგია, რომელიც კონკრეტულად შეეხება მედიცინის სკოლის ადამიანური რესურსების განვითარების გეგმებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საჭიროა ინტერნაციონალიზაციის ეფექტური მონიტორინგი და თანამშრომლობის სტრატეგიის შემუშავება, სხვა ქართულ უსდ-ებთან დაკავშირება (რაც თავის მხრივ შეიძლება ითვალისწინებდეს კვლევებს და განათლების გაუმჯობესებას), რათა გაძლიერდეს სინერგია საქართველოს უნივერსიტეტების სამედიცინო სკოლებს შორის (მაგ. კოლეგების მოწვევა სადისერტაციო ნაშრომების სახელმძღვანელოდ, ერთობლივი პროექტები და ა.შ.). თანამშრომლობითი ძალისხმევის რაოდენობა (გრანტები, ფონდები, პროექტები, ნაშრომები, დისერტაციები) იქნება კარგი მაჩვენებელი სამომავლოდ.
- მომგებიანი იქნება სტუდენტების სასწავლო გეგმებზე დაფუძნებული კვლევითი სამუშაოების შემდგომი გაძლიერება (მაგ. არჩევითი კურსები მათთვის, ვინც მონაწილეობს სტუდენტურ სამეცნიერო წრეებში, სპეციალურ ორგანიზებულ ჟურნალების კლუბებში და ა.შ.).
- დაინტერესებული მხარეები უკეთესად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი დაწესებულების სტუდენტური თვითმმართველობის რეგულაციების შესახებ სამედიცინო სტუდენტების ახალ ჯგუფთან დაკავშირებით.
- წარმოდგენილი უნდა იქნეს მედიცინის სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა, რათა მოხდეს მისი ნაწილების ფუნქციონირების, მათ შორის კავშირებისა და შესაძლო გადაფარვების უკეთ ვიზუალიზაცია.
- სასწავლო გეგმის რუკის ზოგიერთი კომპონენტი შეიძლება თემატურად უფრო თავსებადი გახდეს საბოლოო სწავლის შედეგებთან (მაგ. ფარმაკოლოგია, რადიოლოგია, მიკრობიოლოგია).
- უნდა განისაზღვროს მე-12 სემესტრში საკურსო მუშაობაში ჩართული მენტორების და სტუდენტების პასუხისმგებლობა, ხელმძღვანელობის წესები, შინაარსისა და ფორმატის მოთხოვნებთან და ნაშრომის დაცვის ზუსტ წესებთან ერთად.
- უსდ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია შეიძლება მოიცავდეს ადგილობრივ საზოგადოებაში შეტანილ წვლილს (მესამე მისია) - ეს კონცეფცია ფართოდ არ არის განხილული დოკუმენტებში. დაწესებულების მონაწილეობა საზოგადოებაზე დაფუძნებულ პროექტებში (მაგ. ვაქცინაციისთვის დახმარების გაწევა და ა.შ.) გააძლიერებს ხილვადობას და საზოგადოებასთან ურთიერთობას.
- დაწესებულებამ შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი, რომელიც მოიცავს პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და კორექტირების ეტაპებს (სასწავლო გეგმის შინაარსის განსაზღვრა განახლების შემთხვევაში, ან შეცვლა, საჭიროების შემთხვევაში) და ყოველი ეტაპი მოითხოვს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას. სტუდენტებისა და დამსაქმებლების შემთხვევაში საჭიროა უფრო აქტიური მონაწილეობა ამ

სამომავლო აქტივობებში.

- დაწესებულებას შემუშავებული აქვს მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, მაგრამ შესაძლოა დროული იყოს ევროპულ (GDPR) რეგულაციასთან მისი შესაბამისობის გადახედვა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- 2018 წლის აკრედიტაციის ანგარიშის რეკომენდაციების მიღების შემდეგ დაწესებულებამ პროგრამაში შეიტანა შემდეგი ცვლილებები: 1. სილაბუსებში დაზუსტებულია შეფასების კომპონენტები და ინდივიდუალური ქულების კრიტერიუმები; დადგენილია შეფასების გარკვეული კრიტერიუმები; 2. უცხო ენის კურსში ქართულის პარალელურად, ქართველი სტუდენტებისთვის მეორე უცხო ენად დაემატა გერმანული და ფრანგული ენები, რითაც აღმოიფხვრა წინა ასიმეტრია; 3. მომზადდა ახალი ხელშეკრულების ფორმები პარტნიორ დაწესებულებებთან, სადაც მოცემულია კლინიკურ ბაზაზე/ლაბორატორიაში ჩასატარებელი კურსები, მათი ხანგრძლივობა, სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში და სივრცე, რომელიც გამოიყოფა სასწავლო პროცესისთვის.
- პანდემიის გამო შეიცვალა საზოგადოებრივი ჯანდაცვის კურსის სილაბუსების პრიორიტეტები და გაფართოვდა მისი სფერო. ასევე დაემატა კრიტიკული მედიცინისა და ინფექციური დაავადებების კურსებისთვის გამოყოფილი საათები.
- არჩევით საგანს დაემატა ელექტრონული ჯანდაცვის კურსი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები მიიღებენ ცოდნას ტელემედიცინის, დისტანციური სწავლების, ხელოვნური ინტელექტის ჯანდაცვის პორტალების, პაციენტების ინფორმაციისა და მობილური ინტელექტის სისტემების შესახებ.

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების

- გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამა მთლიანად შეესაბამება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემას (ECTS) და ქართულ და საერთაშორისო სტანდარტებს: არ არსებობს მნიშვნელოვანი შეუსაბამოებები გამოყოფილი ECTS-ის რაოდენობასა და სტუდენტების რეალურ დატვირთვას შორის. სავალდებულო კურსების სილაბუსები იძლევა მკაფიო ინფორმაციას კურსების შემუშავების და თითოეული კურსისათვის მინიჭებული კრედიტების შესახებ. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს დამთავრებისთვის საჭირო მინიმალურ კომპეტენციებს, მიუხედავად ამისა, პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებულები და, შესაბამისად, კურსდამთავრებულების უკუკავშირი არ არის ხელმისაწვდომი. ყველა სწავლის შედეგი შეფასდება ორჯერ, რაც შესაძლებელს გახდის პირველი შეფასების შემდეგ სწავლების/სწავლის მეთოდოლოგიის ან/და თავად შეფასების მეთოდოლოგიის გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში საჭირო ცვლილებების განხორციელებას.
- შენობაში სწავლება განახლდა 2021 წლის მარტში. დისტანციური სწავლების დროს ხელმძღვანელებსა და სტუდენტებს შორის კომუნიკაციის გზები და ინტენსივობა, როგორც ჩანს, სათანადო იყო; სწავლების პროფესიული შინაარსი და სტრუქტურა, გამოყენებული სწავლებისა და სწავლის დამხმარე მეთოდები არის განახლებული, აკმაყოფილებს პროფესიულ მოთხოვნებს და შესაფერისია სწავლის შედეგების მისაღწევად.
- დაწესებულება იყენებს კონტროლის რამდენიმე მიღებულ მეთოდს პროგრამის მონიტორინგისა და სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესაფასებლად. პროგრამა ფოკუსირებულია ლაბორატორიული და პრაქტიკული უნარების შეფასების ეფექტურ გამოყენებაზე, ასევე ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ თუ პრაქტიკულ გამოცდებზე (OSCE, OSPE), შემთხვევებზე დაფუძნებულ დისკუსიებზე. მიუხედავად ამისა, საჭიროა მეტი დეტალის დაზუსტება, თუ როგორ შემოწმდება პრაქტიკული კომპეტენციები გარკვეულ კომპონენტებში, რომლებიც ჩამოთვლილია კურსებში (როგორცაა ამოტროფიული ლატერალური სკლეროზი ანესთეზიოლოგიასა და ინტენსიურ თერაპიაში, ადგილზე მუშაობა „სინდრომზე დაფუძნებულ დიაგნოსტიკაში“, პრაქტიკული უნარების დემონსტრირება ქირურგია I-ში (მე-5 სემესტრი), ან COVID-19-თან დაკავშირებული თემები, მათ შორის თანამედროვე (mRNA) ვაქცინაცია მიკრობიოლოგიაში, ვირუსოლოგია I-II).
- უნარების ცენტრი უნდა იქნეს გამოყენებული ამოსავალ წერტილად პრაქტიკული სწავლების ხარისხისა და წონის გაზრდაში, ამიტომ მიზანშეწონილია განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება. არსებული გარემო აკმაყოფილებს პრეკლინიკური კურსების მოთხოვნას და, სიმულაციური უნარების სწავლების დროს მიღებული პროცედურული ცოდნა ინტეგრირებულია არსებულ კლინიკურ კურიკულუმში, მაგრამ ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება შესაძლებელია დიაგნოსტიკური და ტექნიკური/ინტერვენციული საშუალებებით. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი იქნებოდა შემუშავდეს და განმეორდეს (სპირალური ხაზის გასწვრივ) პრაქტიკული პროცედურების კომპლექტი, რომელიც

<p>სტუდენტებმა უნდა აითვისონ სასწავლო პროგრამის დასრულებამდე და შეაფასონ ისინი არა მხოლოდ იმიტირებულ, არამედ რეალურ კლინიკურ სიტუაციებშიც. უსდ-ის ინფორმაციით, სასწავლო გეგმა შეიცავს სპირალურ ელემენტებს - პრაქტიკულ სასწავლო გეგმაში სპირალური კომპონენტი განმეორების შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, დაწყებული საბაზისო „პირველადი დახმარების“ მანევრებიდან პირველ კურსზე, შემდეგ განმეორებითი „პირველადი დახმარების“ კურსით და მოგვიანებით „ამიოტროფიული ლატერალური სკლეროზის“ კურსით, პრაქტიკული უნარები თანდათან და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. პროგრამა 2020 წელს დაიწყო, შესაბამისად წავლის შედეგების აზრიანი შეფასება ცოტა რთულია. ჩვენი რჩევით, იმ სტუდენტთა რაოდენობა, ვინც განაგრძობს სასწავლო პროცესს - ჩააბარებს MCI ან USMLE გამოცდებს - დაიწყებს რეზიდენტურას ან გახდება დოქტორანტურის სტუდენტი, იქნება საუკეთესო მაჩვენებელი ამ მიზნისთვის.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუების შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მოსალოდნელია, რომ უნარ-ჩვევების ცენტრის ბაზა გამოყენებული იქნება როგორც ამოსავალი წერტილი პრაქტიკული ტრენინგის ხარისხისა და წონის გასაზრდელად და, შესაბამისად, სასურველია განვითარების მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიები უფრო რთული სიმულაციებითა და სცენარებით (მაღალი სიზუსტის კომპიუტერიზებული პაციენტის სიმულატორებით), რაც შეიძლება შემდგომში ჩართული იქნეს სასწავლო გეგმაში. ○ დროული გაფრთხილება იქნება, რომ შემუშავდეს მენტორობის უფრო ეფექტური მექანიზმი, როგორცაა რეგულარული შეხვედრები, დისკუსიები სტუდენტებს, კლინიკურ მენტორებსა და უსდ-ების ხელმძღვანელებს შორის კლინიკური სწავლების მეთოდის ეფექტიანობის გაანალიზებისათვის. კლინიკურ მენტორად წარდგენის წესები და კვალიფიკაცია უფრო მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული კატეგორიების მიხედვით, ხოლო პერსონალური განვითარების გეგმები საჭიროა კლინიკური პერსონალისათვის.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშის განხილვით და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან გასაუბრებით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი (სახელმწიფოს მიერ დამოწმებული) შესაბამისი დოკუმენტები (სერტიფიკატები) ან ექვივალენტური შესაბამისი დოკუმენტი (სკოლის ატესტატი);

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესით ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

- ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ბარიერის გადალახვა, გარდა ინგლისური ენის გამოცდისა. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ინგლისურში არის მთლიანი ქულის 85%.

- ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე - ზოგადი ევროპული კომპეტენციის სერტიფიკატის წარდგენა ენის ფლობაში (IELTS/TOEFL/Cambridge English). აღნიშნულის არარსებობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი ამოწმებს ინგლისური ენის ცოდნის დონეს მოქმედი რეგულაციებისა და უმაღლესი განათლების მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით.

დასაშვებია უცხოელი სტუდენტების მიღება ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და ვადით, პროგრამაში მობილობის გზით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონის დაცვით. ეს რეგულაცია უზრუნველყოფს რელევანტური ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე სტუდენტთა დაშვებას პროგრამაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები
- კავკასიის უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://cu.edu.ge/ka/schoolss/chs>
- საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ"

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-ში უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა შემუშავებულია დარგობრივი მახასიათებლების, კავკასიის უნივერსიტეტის პროგრამის განვითარების მეთოდოლოგიისა და უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად. მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 360 კრედიტი ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) თანახმად. ერთი ECTS შეადგენს 25 საათს, და მოიცავს საკონტაქტო საათებს (ლექციები, სემინარები, პრაქტიკა და ა.შ.), ასევე დამოუკიდებელ სამუშაო საათებს. პროგრამის ხანგრძლივობაა 6 წელი (12 სემესტრი), სემესტრში 30

კრედიტია, სემესტრი შედგება 19 კვირისგან, სასწავლო წელი მოიცავს 38 კვირას. 350 კრედიტი სავალდებულოა, 10 კრედიტი კი - არჩევითი.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ არის ინტეგრირებული. მასში შედის: ინტეგრირებული კურსები - 76 (ECTS), ძირითადი/პრეკლინიკური კურსები - 86 (ECTS), კლინიკური კურსები - 154 (ECTS), კლინიკური სტაჟირება - 13 (ECTS), არჩევითი კურსები - 10 (ECTS).

პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი საგნების ნაცვლად, სტუდენტს შეუძლია 10 კრედიტის დაგროვება თავისუფალი კრედიტების სახით. პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით „სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 75 ECTS-ს“.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლების სამინისტროს №3 ბრძანების (კრედიტების განაწილების წესი) მიხედვით ნებადართულია დამატებით 15 კრედიტის მოპოვება მთელი პროგრამის განმავლობაში (6 წელი). ამრიგად, ამ წესის ფორმულირება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს განათლების სამინისტროს №3 ბრძანებას და არაუმეტეს 75 კრედიტის მიღება უნდა განისაზღვროს არა ყოველ სასწავლო წელს, არამედ მთელი პროგრამის ხანგრძლივობისთვის.

მედიცინის დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად,

- 15 კრედიტი (ECTS) ეძღვნება სამეცნიერო უნარების განვითარებას (ბიოსტატისტიკა, კვლევითი უნარები 1, 2, ეპიდემიოლოგია, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა და საკურსო ნაშრომი);

- კლინიკური უნარების ლაბორატორიაში კლინიკური უნარების განვითარებას პირველივე კურსიდან ეთმობა 10 კრედიტი (ECTS) (პირველადი დახმარება, კლინიკური უნარები I, II).

პროგრამა აგებულია მოდულურ პრინციპზე. მოდულის შიგნით არის მკაფიო ჰორიზონტალური ინტეგრაცია საგნებს შორის და კომპონენტების უმეტესობა მიჰყვება ლოგიკურ თანმიმდევრობას.

ამ მოდულების სილაბუსი აერთიანებს ბიოსამედიცინო კვლევებში პრაქტიკული უნარების განვითარებას პირველ 4 სემესტრში, ხოლო პირველადი დახმარების მოდული ხორციელდება როგორც პაციენტის საწოლთან სწავლებისას, ასევე კლინიკური უნარების ლაბორატორიაში, რისთვისაც მეორე სემესტრიდან ემატება კლინიკური უნარების პირველი კურსი.

პროგრამა შედგება საბაზისო (პრეკლინიკური, I - III კურსები) და კლინიკური სწავლების (IV-VI წელი) ეტაპებისგან, პრეკლინიკური კურსი მოიცავს ჰორიზონტალურად ინტეგრირებულ მოდულებს სხეულის სისტემების სტრუქტურასა და ფუნქციებზე (ანატომია, ჰისტოლოგია, ფიზიოლოგია, ბიოქიმია), რომლებიც სინქრონიზებულია ორგანოთა სისტემების მიხედვით. მე-4 კურსიდან კლინიკური კურსები (დერმატოვენეროლოგია, ნევროლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, გინეკოლოგია, ინფექციური დაავადებები, გადაუდებელი ქირურგია, უროლოგია, ოფთალმოლოგია, ონკოლოგია, ბავშვთა ინფექციური დაავადება, სამედიცინო რეაბილიტაცია, საოჯახო მედიცინა, კლინიკური რენტგენოლოგია და კლინიკური ფარმაცოლოგია) ძირითადად ცალ-ცალკე ისწავლება. ამიტომ, გათვალისწინებულია ინტეგრაციის გაზრდას, მაგალითად, კლინიკური ფარმაცოლოგიის ან კლინიკური რადიოლოგიის შესაძლო ინტეგრაციას ზოგიერთ კლინიკურ კურსთან. განსაზღვრულია სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები. პროგრამის აღწერილობა ატვირთულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები იძლევა მკაფიო ინფორმაციას პროგრამის და თითოეული კურსისათვის მინიჭებული ECTS კრედიტების შესახებ.

პროგრამა აგებულია მოდულურ პრინციპზე. მოდულის შიგნით არის მკაფიო ჰორიზონტალური ინტეგრაცია საგნებს შორის და კომპონენტების უმეტესობა მიჰყვება ლოგიკურ თანმიმდევრობას. ამ მოდულების სილაბუსი აერთიანებს ბიოსამედიცინო კვლევებში პრაქტიკული უნარების განვითარებას პირველ 4 სემესტრში, ხოლო პირველადი დახმარების მოდული ხორციელდება როგორც პაციენტის საწოლთან სწავლებისას, ასევე კლინიკური უნარების ლაბორატორიაში, რისთვისაც მეორე სემესტრიდან ემატება კლინიკური უნარების პირველი კურსი.

მიუხედავად ამისა, დიაგრამა (ორგანოგრამა), რომელიც აღწერს ამ ურთიერთობებს, სასარგებლო იქნება და ზოგიერთ სფეროში სტრუქტურულმა ცვლილებებმა შეიძლება განათლება უფრო ეფექტური გახადოს. ზოგიერთმა კურსმა, რომელიც შეიძლება ბუნებრივად იყოს დაკავშირებული ერთმანეთთან, შესაძლოა ბევრად უფრო ძლიერი კავშირი უზრუნველყოს კლინიკურ განათლებასთან. ამის რამდენიმე მაგალითია: კლინიკური ფარმაკოლოგია, რომელიც ახლა მე-12 სემესტრში შედის, უნდა ისწავლებოდეს კრიტიკულ მკურნალობამდე (რომელიც ახლა მე-10 სემესტრშია) და ძირითადი ფარმაკოლოგიის შემდეგ. კლინიკური რადიოლოგია მე-11 სემესტრშია, რომელიც ძალიან შორს არის ძირითადი რადიოლოგიისგან (მე-6 სემესტრში), ხოლო ბავშვთა ინფექციური დაავადებების დამოუკიდებელი კურსი მე-11 სემესტრშია მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის II (მე-5 სემესტრი) შემდეგ.

ინტეგრაცია ძირითად სამედიცინო მეცნიერებებსა და კლინიკურ მეცნიერებებს შორის, როგორც ჩანს, გარანტირებულია, მაგრამ გარკვეული ოპერატიული კავშირი უნდა იყოს უზრუნველყოფილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასა და ტრენინგის ან პრაქტიკის შემდგომ ეტაპს შორის, რომელზეც სტუდენტი სწავლის დამთავრების შემდეგ გადავა. ამ თვალსაზრისით უნდა განისაზღვროს დასკვნითი საკურსო ნაშრომის (მე-12 სემესტრში) პოზიცია და გაცილებით ზუსტი უნდა გახდეს მისი წარდგენის წესები. რამდენად ეფექტურად გადიან სტუდენტები კლინიკურ/პრაქტიკულ სწავლებას ამ სისტემაში, ჯერ კიდევ გაურკვეველია, მაგრამ გარანტირებულია კლინიკური კურსების პრაქტიკაზე დაფუძნებული ასპექტები და ხელმისაწვდომია კლინიკური საგნების დროს პაციენტის საწოლთან კლინიკურ პრაქტიკა. მიუხედავად ამისა, განმეორებით უნდა განმტკიცდეს სტუდენტების ინდივიდუალურად განვითარებული ტექნიკური და პროცედურული უნარები - მნიშვნელოვნად უნდა გაძლიერდეს სასწავლო გეგმის ეს „სპირალური“ ასპექტი. სტუდენტებს შეუძლიათ შეიძინონ საბაზისო ტექნიკური/პრაქტიკული უნარები უსდ-ის სიმულაციური ცენტრში, რაც აშკარა უპირატესობაა და განსაკუთრებული შესაძლებლობაა კლინიკური კურსის განმახორციელებელი პირებისთვის, მაგრამ უნარების განვითარება, რომელიც იწყება სწავლების ადრეული ეტაპიდან, განმეორებით უნდა განმტკიცდეს შემდგომ წლებში (განვითარება გრძელდება 6 წელი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში

<ul style="list-style-type: none"> ○ ინტერვიუების შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რეკომენდებულია საქართველოს განათლების სამინისტროს №3 ბრძანების მიხედვით დამატებითი კრედიტების რაოდენობის მიღების საკითხის დაზუსტება, ამ ბრძანების საფუძველზე დამატებითი კრედიტების (15 კრ.) მიღება დასაშვებია პროგრამის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში (6 წელში).</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ რეკომენდებულია პროგრამაში არჩევითი საგნების კრედიტების რაოდენობის გაზრდა. ○ რეკომენდებულია პროგრამის ვერტიკალური ინტეგრაციის გაზრდა.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია. პროგრამის კურსების/მოდულების სილაბუსები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის/მოდულის დასახელება და სტატუსი, კურსის ფორმატი, კურსის მოცულობა ECTS სისტემის მიხედვით, კურსის განმახორციელებელი, კურსის მიზნები, წინაპირობები, სწავლის შედეგები, სტუდენტების შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლის/სწავლების მეთოდები, კონსულტაციის დრო, კურსის შინაარსი, სასწავლო რესურსები და აკადემიური კალენდარი. თითოეული მოდულისთვის/კურსისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს სასურველი შედეგის მიღწევას.

სასწავლო გეგმაში შეტანილი სასწავლო კურსები ეფუძნება სტუდენტების მიერ წინასწარ შეძენილ ცოდნასა და უნარებს; კურსები ერთმანეთთან დაკავშირებულია ე.წ. „მემკვიდრეობითობის“ პრინციპით.

ყველა ცალკეული სასწავლო კურსისა და მოდულის სწავლის შედეგები ერთიანობაში ქმნის პროგრამის სწავლის შედეგებს, რომლებიც განისაზღვრება კვალიფიკაციის აღმწერით. კომპეტენციების რუკა ასახავს სწავლის სამ შედეგს: 1 - შესავალი, 2 - გაღრმავება, 3 - გაძლიერება. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც კომპეტენციების რუკა არ შეესაბამება სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს. რუკის მიხედვით სხეულის სისტემების კურსები არ აძლევს სტუდენტს ეფექტური კომუნიკაციის კომპეტენციას, მაშინ როდესაც ამ კურსების სწავლის შედეგები აღწერს კომუნიკაციის უნარს: „სტუდენტი თავისი კვლევის შედეგებს, არგუმენტებსა და დასკვნებს წარუდგენს როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებას სათანადო პრეზენტაციის სახით“ და „შეფასების სისტემა იყენებს ვერბალური პრეზენტაციის შეფასებას.“

პაციენტის ავადმყოფობის ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების განხილვის, იდენტიფიკაციისა და შეფასების კომპეტენცია არ არის ამ კურსების სწავლის შედეგი: ონკოლოგია, ნევროლოგია, ტრავმატოლოგია და ორთოპედია, ინფექციური დაავადება, ექსპერტიზის მედიცინა, მაშინ როდესაც ზოგიერთი კურსის სწავლის შედეგებში ნათქვამია, რომ „სტუდენტი აფასებს პაციენტის ფსიქო-ემოციურ სტატუსს და დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებს“. რეკომენდებულია სწავლის შედეგების მკაფიოდ განსაზღვრა სასწავლო კურსებსა და კომპეტენციების რუკაზე და კომპეტენციის რუკის შესაბამისობაში მოყვანა კურსის/მოდულის სილაბუსებთან.

სწავლის შედეგები დაინერგება ქვედა დონის კურსებში და შემდგომ განვითარდება კლინიკურ კურსებში, მაგრამ ცოდნისა და გაგების კომპეტენციები, პაციენტის კონსულტაციისა და კლინიკური შემთხვევის შეფასების კომპეტენციები, გამოკვლევების დაგეგმვა, დიფერენციული დიაგნოზი, დაავადების მართვის გეგმის განხილვა მითითებულია მაგისტრატურის საფეხურზე მე-7 სემესტრიდან. ზემოთ აღნიშნული ფაქტები არ აჩვენებს სტუდენტების პროგრესს.

შესაბამისად, ეს გვაფიქრებინებს, რომ პროგრამა წლების განმავლობაში არ აძლევდა სტუდენტებს ცოდნასა და უნარებს არც განახლების და არც გაუმჯობესების გზით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროგრამა არ არის მიმართული სტუდენტების პროფესიულ ზრდაზე დარგობრივი კომპეტენციების დაუფლების გზით.

სწავლის შედეგების ანალიზის კომპეტენციების რუკა, თუ როგორ მიიღწევა პროგრამის კომპონენტების ან კონკრეტული პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგები, უფრო მეტად უნდა იყოს ორიენტირებული ცოდნისა და უნარების განახლებასა და გაუმჯობესებაზე“.

გასაუბრებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ სურთ გააუმჯობესონ სასწავლო კურსების პრაქტიკული კომპონენტი და სასწავლო კურსების (ბიოქიმიის, ფიზიოლოგიის)

ლაბორატორიული სამუშაოები.

სილაბუსებში საჭირო სავალდებულო ლიტერატურა სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონულად ონლაინ რეჟიმში, მაგრამ მათი უმეტესობა ძველია და არ შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს (რობინსი & ქოტრანი, დაავადების პათოლოგიური საფუძველი, კუმარი, საუნდერსი; 6e, **2002**; ბრუნიკარდი ს. ანდერსენი დ. - შვარცის ქირურგიის პრინციპები **2005**; ოქსფორდის ონკოლოგიის სახელმძღვანელო, კესიდი, **2008**; ჰარისონის ონკოლოგიის სახელმძღვანელო. ბ. ჩაზნერი, ტ. ჯ. ლინჩი, დ. ლ. ლონგო **2008**წ. შესავალი კლინიკურ სასწრაფო დახმარებაში, ს. ვ. მაჰადევან, გას მ. გარმელ, **2005**; ძირითადი სპორტის მედიცინა. ჰერერა, კუპერი, **2008**; უილიამსი – მეანობა, ოცდამესამე გამოცემა, საავტორო უფლება © **2010**); პროგრამის მიზანში ნათქვამია: „პროგრამა ხელს შეუწყობს უახლესი და თანამედროვე სახელმძღვანელოების გამოყენებას სწავლებასა და სწავლაში“, რეკომენდებულია საჭირო სავალდებულო ლიტერატურის განახლება. გარდა ამისა, „საკურსო სამუშაოს“ სავალდებულო საკითხავი ძალიან მოძველებულია, ლიტერატურა (JAMA, 1995) არ არის დაკავშირებული ამ საკითხთან.

პრაქტიკაზე დაფუძნებული პრეკლინიკური კურსის შემთხვევაში, როგორცაა „პირველადი დახმარება“ ან „კლინიკური უნარები“, სასწავლო მიზნები უნდა მიიღწეოდეს პრაქტიკული პრაქტიკით, მიღებული ცოდნისა და უნარების გამოყენებით; ასევე ერთ-ერთი მიზანია სტუდენტების ჩართვა უსაფრთხო, კონტროლირებად გარემოში კლინიკურ საგნებამდე ან მათ პარალელურად. კურსის აღწერილობის მიხედვით პირველადი დახმარების გამოცდა ახლა ეფუძნება ვერბალურ (20 ქულით) და პრაქტიკულ პრეზენტაციებს (10 ქულა), ხოლო კურსის „კლინიკური უნარები 2“ შემთხვევაში, როგორც ჩანს, შუალედური (20 ქულა) და დასკვნითი გამოცდები (30 ქულა) მხოლოდ ზეპირი გამოკითხვის საფუძველზე ტარდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სწავლის შედეგების მკაფიოდ განსაზღვრა სასწავლო კურსებში და კომპეტენციების რუკაზე და კომპეტენციის რუკის შესაბამისობაში მოყვანა კურსის/მოდულის სილაბუსებთან.
- საჭიროა 2002, 2005, 2006, 2008 წლებში გამოცემული სავალდებულო ლიტერატურის განახლება;
- კომპეტენციების რუკა (დონეები პირველიდან მესამემდე) უფრო მკაფიოდ უნდა გამოხატავდეს სტუდენტების წინსვლას.
- პრაქტიკაზე ორიენტირებული პრეკლინიკური საგნების დასკვნითი გამოცდების შემთხვევაში გაცილებით მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს პრაქტიკულ ნაწილებზე; სასწავლო გეგმის განმავლობაში უნდა გაიზარდოს პრაქტიკული გამოცდების ხვედრითი წილი - ტექნიკური კომპეტენციების, კლინიკური და კომუნიკაციური უნარების დემონსტრირება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასწავლო კურსების (ბიოქიმია, ფიზიოლოგია) პრაქტიკული კომპონენტისა და ლაბორატორიული მუშაობის გაუმჯობესება.
- სასწავლო გეგმის რუკის ზოგიერთი კომპონენტი შეიძლება თემატურად უფრო თავსებადი გახდეს საბოლოო სწავლის შედეგებთან (მაგ. ფარმაკოლოგია, რადიოლოგია, მიკრობიოლოგია).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტების შესწავლა და გასაუბრების შედეგები აჩვენებს, რომ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული და სამეცნიერო კვლევის უნარების განვითარებას. პრაქტიკული უნარები ვითარდება სხვადასხვა დონეზე, როგორც პრეკლინიკურ, ასევე კლინიკურ სტადიაზე. პროგრამის პრეკლინიკურ ეტაპზე აუცილებელი კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს კურსი „კლინიკური პრაქტიკა 1,2“ და „პირველადი დახმარება“.

უნივერსიტეტს გააჩნია კარგად აღჭურვილი კლინიკური უნარების ლაბორატორია

პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. პროგრამა უზრუნველყოფს ქართული ენის კურსებს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სწავლების ენა არის ინგლისური, სავარაუდოა, რომ შემდგომ სემესტრებში საჭირო იქნება მეტი აქცენტი და დამატებითი, სპეციალური სასწავლო კურსები ქართულ ენაზე სამედიცინო კომუნიკაციისთვის (შესაძლოა, უნარების ცენტრში სიმულირებული პაციენტები).

კლინიკურ სტადიაზე კლინიკური უნარების განვითარებას უზრუნველყოფს ინტერნატურის („კლერკშიფი“) ძირითადი კურსები.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ქალაქის წამყვანი სამედიცინო-დიაგნოსტიკური დაწესებულებები კონტრაქტების/მემორანდუმების საფუძველზე. უნივერსიტეტი კლინიკურ საქმიანობას ეწევა ოცზე მეტ კლინიკაში.

ადმინისტრაციასთან ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ კავკასიის უნივერსიტეტის კამპუსიდან 500 მ რადიუსში აშენებს ახალ, მრავალპროფილიან, 120 საწოლიან კლინიკას, რომელიც აღჭურვილია უახლესი სამედიცინო და ტექნოლოგიური სტანდარტებით; იგი 2024 წელს დაიწყებს მუშაობას და გახდება მთავარი კლინიკური ბაზა უნივერსიტეტის სამედიცინო პროგრამისთვის.

ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს აქვთ წვდომა ჯანდაცვის პროვაიდერების განყოფილებებთან, სადაც მათ ხელმძღვანელები ეხმარებიან.

თუმცა, ხელმძღვანელებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ პროგრამას არ აქვს მკაფიო განსაზღვრება ხელმძღვანელების როლისა და ფუნქციების შესახებ, აღსანიშნავია, რომ ხელმძღვანელები არიან პროფესორები, რომლებიც არიან პრაქტიკოსები და ისმის კითხვა, მათ შეუძლიათ თუ არა დაეხმარონ, ხელი შეუწყონ და გაუწიონ სტუდენტებს ტექნიკური მხარდაჭერა.

პროგრამაზე კვლევით უნარებში დახელოვნება ხდება სავალდებულო კურსების საშუალებით: „სამეცნიერო კვლევითი უნარები და მეთოდები I-II“ და „ბიოსტატისტიკა“, „ეპიდემიოლოგია და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა“ და კვლევითი ნაშრომის მომზადებით.

კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის სკოლა რეგულარულად ატარებს სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციას. კონფერენციის მიზანია სტუდენტებს მიაწოდოს საჭირო უნარები ამ სფეროში, წახალისოს ისინი შემდგომ კვლევით საქმიანობაში ჩართვის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა, თანმხლები დოკუმენტები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- უნდა განისაზღვროს მე-12 სემესტრში საკურსო მუშაობაში ჩართული მენტორების და სტუდენტების პასუხისმგებლობა, ხელმძღვანელობის წესები, შინაარსისა და ფორმატის მოთხოვნებთან და ნაშრომის დაცვის ზუსტ წესებთან ერთად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია კლინიკური უნარების ლაბორატორიაში სპეციალისტის/მენტორების

დაეირავება, რომლებიც ხელს შეუწყობენ სტუდენტების სასწავლო პროცესს და დააკმაყოფილებენ მათ საჭიროებებს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის დოკუმენტაცია და თვითშეფასების ანგარიში აღწერს სწავლების სხვადასხვა მეთოდებს, რომლებიც შეესატყვისება კურსის ამოცანებს და ყურადღებას ამახვილებს სწავლის შედეგებზე. სწავლების მეთოდები სრულად შეესაბამება განათლების შესაბამის საფეხურს და კონკრეტული სასწავლო კურსისა თუ მთლიანი პროგრამის შედეგების მიღწევას.

სწავლების მეთოდები აღწერილია ყველა სილაბუსში: ტრადიციული (ვერბალური/ზეპირი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მეთოდი, დემონსტრაციის მეთოდი, დისკუსიის/დებატების მეთოდი, საწოლითან სწავლების მეთოდები, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეთოდები) და სწავლების ინოვაციური მეთოდები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; გუნდური სწავლება / თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლის მეთოდი, როლური თამაში. პროგრამის დოკუმენტაციაში ნათქვამია, რომ საწოლითან სწავლებისა და ასევე საწყისი კლინიკური უნარების კურსის შემდეგ სიმულატორის გამოყენებით სწავლების და სტანდარტიზებულ

პაციენტებთან გამოცდილების განმეორებადი გამოყენების გარდა, შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება (CBL) და შემთხვევებზე დაფუძნებული კლინიკური მსჯელობა აქტიურად გამოიყენება სწავლის მოდელებად. შემდეგ, დოკუმენტაციის მიხედვით, კლინიკური ინტერნატურის გავლის დროს, ტრადიციულ მეთოდებთან ერთად, პროგრამა პირველივე ეტაპიდან იყენებს შებრუნებული სწავლების მეთოდს. ინტერვიუებმა ცხადყო, რომ პერსონალი იცნობს სწავლის როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე მეთოდებს, თუმცა თანამედროვე მეთოდები ფართოდ არ გამოიყენება, რეკომენდებულია სწავლების თანამედროვე მეთოდების ინტენსიური გამოყენება, რაც პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის წინაპირობაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა, თანმხლები დოკუმენტები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია ინტენსიურად იქნეს გამოყენებული თანამედროვე სწავლების მეთოდები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებების საფუძველზე თანამედროვე ინდიკატორების გამოყენებით ხორციელდება. პროგრამის კომპონენტზე მიკუთვნებული კრედიტების მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სილაბუსში მიღწეულია სწავლის შედეგები, რაც დასტურდება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. სტუდენტთა შეფასება მრავალკომპონენტურია; გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასებები. პროგრამის შეფასების სისტემა მოიცავს 100-ქულიან შკალას და გულისხმობს:

დადებითი შეფასების ხუთ ტიპს:

- ა.ა. A ფრიადი – 91-100 ქულა მაქსიმალური შეფასებიდან;
- ა.ბ. B ძალიან კარგი- 81-90 ქულა მაქსიმალური შეფასებიდან;
- ა.გ. C კარგი- 71-80 ქულა მაქსიმალური შეფასებიდან;
- ა.დ. D დამაკმაყოფილებელი- 61-70 ქულა მაქსიმალური შეფასებიდან;
- ა.ე. E საკმარისი - 51-60 ქულა მაქსიმალური შეფასებიდან;

ბ. ორი უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა მაქსიმალური შეფასებიდან, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს სჭირდება მეტი შრომა და უფლება აქვს კიდევ ერთხელ გაიაროს გამოცდა დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების შემდეგ;

ბ.ბ) (F) – ჩაიჭრა – 40 ქულა ან ნაკლები ჯამური ქულიდან, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის ნამუშევარი არასაკმარისია და მან ხელახლა უნდა გაიაროს კურსი.

საგანმანათლებლო პროგრამის აღწერაში ნათქვამია, რომ გამოიყენება შემდეგი ახალი შეფასების მეთოდები: ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა(OSCE), შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია (CBD), როლური თამაში, მინი კლინიკური სავარჯიშო ტესტი, შემთხვევებზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება (CBCR), პორტფოლიო, და სამუშაო ადგილზე შეფასება, მრავალმხრივი 360°-იანი შეფასება.

მაგრამ ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა განკუთვნილია დასკვნითი გამოცდებისთვის **მხოლოდ** 3 საგანში (კომუნიკაციის უნარები (1 სემ.), ნეფროლოგია (მე-9 სემ.), კლინიკური ინტერნატურა II (მე-12 სემ.); სილაბუსების მიხედვით კლინიკური კურსების უმეტესობა (მეანობა, გინეკოლოგია, ზოგადი ქირურგია, შინაგანი მედიცინა, ონკოლოგია, ანესთეზიოლოგია და რენიმატოლოგია, ბავშვთა ინფექციური დაავადებები, სამედიცინო რეაბილიტაცია და სპორტული მედიცინა, სინდრომული დიაგნოზი, პედიატრია, საოჯახო მედიცინა) იყენებს ზეპირ გამოცდებს, ტესტებს რამდენიმე პასუხით, კლინიკური შემთხვევების სავარჯიშოებს ფინალური გამოცდებისთვის. შესაბამისად, საერთოდ არ არის შეფასებული ამ კურსის ყველა სწავლის შედეგი და კომპეტენცია:

- აჩვენებს სისხლდენის შეჩერების, ჭრილობების გასუფთავების, კანის გაკერვის ქირურგიული პროცედურებს. ჭრილობის მკურნალობა და შეხვევა (**ზოგადი ქირურგია**)
- სასიცოცხლო ნიშნების იდენტიფიცირება: პულსი, სუნთქვა, ტემპერატურა; არტერიული წნევის გაზომვა; გაჯერების განსაზღვრა; ხელების დაბანა და ხელთათმანების ტარება; პერიფერიული ვენების პუნქცია; კათეტერის შეყვანა პერიფერიულ ვენაში; ინექცია კანქვეშ და კუნთში; ჟანგბადის მიწოდება;

<p>პაციენტების ტრანსპორტირება და მკურნალობა (შინაგანი მედიცინა, პულმონოლოგია, ანესთეზიოლოგია და ინტენსიური თერაპია)</p> <ul style="list-style-type: none"> - აჩვენებს ფიზიოთერაპიული აკუპუნქტურის, მანუალური თერაპიისა და მასაჟის გამოყენებას სხვადასხვა დაავადებებში (სამედიცინო რეაბილიტაცია და სპორტული მედიცინა)? - იღებს პაციენტის ანამნეზს, აყალიბებს მონაცემებს, არეგისტრირებს და აკეთებს შემთხვევის ჩანაწერს. აკეთებს ფიზიკურ შემოწმებას, ადგენს კლინიკურ ნიშნებს. პერიფერიული ვენების პუნქცია; კათეტერის შეყვანა პერიფერიულ ვენაში, ინექცია კანქვეშ და კუნთში. ადგენს დაავადებასთან დაკავშირებულ სტრესს, მენტალურ აშლილობას - დეპრესიას, დემენციას, სუიციდალურ აზრებს. აჩვენებს კვლევის დიზაინის შერჩევას უნარს, დეტალურ დაგეგმვას, პროცესის შედეგებს და აყალიბებს დასკვნებს. აწარმოებს სწავლის, პრაქტიკული უნარებისა და პროფესიული საქმიანობის პირად ჩანაწერებს (პორტფოლიოს) (სინდრომზე დაფუძნებული დიაგნოსტიკა) <p>აღსანიშნავია, რომ გასაუბრებისას სტუდენტების უმეტესობამ აღნიშნა, რომ კლინიკური კურსები საბოლოო შეფასებისთვის იყენებს ზეპირ გამოცდებს.</p> <p>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდისა და სხვა თანამედროვე შეფასების მეთოდების გამოყენება კლინიკურ საგნებში სწავლის შედეგების/კომპეტენციების შესაფასებლად და სასწავლო კურსებში სწავლის ყველა შედეგისა და კომპეტენციის შესაფასებლად.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა, თანმხლები დოკუმენტები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუების შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ რეკომენდირებულია ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდისა და სხვა თანამედროვე შეფასების მეთოდების გამოყენება სწავლის შედეგების/კომპეტენციების შეფასებისთვის კლინიკურ საგნებში. ○ რეკომენდირებულია ყველა სწავლის შედეგის და კომპეტენციის შეფასება სასწავლო კურსებზე.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის სასაწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის ოფისი უზრუნველყოფს სტუდენტებს შესაბამისი სერვისებით მუდმივ რეჟიმში, ოფისი შექმნილია სტუდენტების კონსულტაციისა და მათ განცხადებებზე რეაგირებისთვის; სასაწავლო პროცესში შექმნილი პრობლემების გადაჭრისთვის შესაბამის დეპარტამენტებთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. სტუდენტს შეუძლია მიიღოს საჭირო ინფორმაცია, რჩევები და დახმარება საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელისგან და საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელისგან. ინტერვიუებმა ცხადყო, რომ სტუდენტები იღებენ სასაწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებს. სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა სხვა სახის კლასგარეშე აქტივობებში, როგორცაა სოციალური და სპორტული ღონისძიებები. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს მათ ხაზი გაუსვეს, რომ ადმინისტრაცია თანამშრომლობს სტუდენტებთან და ითვალისწინებს მათ რეკომენდაციებსა და წინადადებებს. სტუდენტების გამოკითხვის დროს მათ აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტს აქვს გასაჩივრების პროცედურები, თუ არის რაიმე, რაც არ არის შესაბამისობაში სასაწავლო პროცესთან. თოდუას და რეიმანის კლინიკებში განხორციელებული ვიზიტისას, გვქონდა შესაძლებლობა გვეჩვენებინა სტუდენტებისთვის განკუთვნილი მცირე აუდიტორიები. გარდა ზემოაღნიშნულისა, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ სტუდენტები არ იყვნენ ჩართულები დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მოდერნიზაციისა და თვითშეფასების პროცესში და შესაბამისად არ აქვთ ინფორმაცია ინტეგრაციის შესახებ. პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში აუცილებელია სტუდენტებთან მჭიდრო კომუნიკაცია და მათი შეხედულებების გაზიარება;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში აუცილებელია სტუდენტებთან მჭიდრო კომუნიკაცია და მათი შეხედულებების გაზიარება;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

<ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</p>
<p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/სამეცნიერო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის პერსონალი შედგება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამშრომლებისგან. პერსონალის აყვანის (შერჩევის/დანიშვნის) წესები და პროცედურები ნათლად არის აღწერილი პერსონალის მართვის პოლიტიკაში. ეს წესები არის გამჭვირვალე და ობიექტური და უნდა უზრუნველყოფდეს კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვას და დაქირავებას. აკადემიურ, მოწვეულ და დამხმარე პერსონალთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ ეს წესები მუშაობს, სამედიცინო სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება უმაღლესი სასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

პრეკლინიკური კვლევების შემთხვევაში ამ პუნქტში (ადამიანური რესურსები) არ გამოვლენილა ხარვეზები. ფაქტობრივად, ექსპერტთა ჯგუფზე შთაბეჭდილება მოახდინა მენტორების პროფესიონალიზმმა. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამას, მიმდინარე დატვირთვა ადეკვატურია, მენტორებისა და სტუდენტების თანაფარდობა მისაღებია პროგრამის პირველი 3 წლის განმავლობაში. კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი, სამეცნიერო აქტივობებისა და კვლევის მაღალი ხარისხის მხარდაჭერის აუცილებლობას, და შეფასებას, როგორც განათლების, ასევე სამეცნიერო ხარისხის საფუძველზე.

აფილირების ვადები და პირობები განსაზღვრულია უსდ-ს და აკადემიურ პერსონალს შორის გაფორმებულ ოფიციალურ ხელშეკრულებაში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გეგმები პერსონალის აქტიურად დაქირავების შესახებ, ამჟამად მხოლოდ პერსონალის მცირე რაოდენობაა დასაქმებული, განსაკუთრებით დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისთვის და არ არსებობს მონაცემები სამეცნიერო პერსონალზე.

დასაქმებულებს აქვთ სათანადო კვალიფიკაცია და ინტერვიუს დროს გამოხატეს ურყევი მზაობა, რომ უზრუნველყონ პროგრამის წარმატება.

დაწესებულება აღიარებს, რომ რეკრუტინგი მისთვის პრიორიტეტული სფეროა. გათვალისწინებულ იქნა რეკომენდაციები ადამიანური რესურსების გაზრდის შესახებ, მომზადდა პერსონალის აფილირების ხელშეკრულების ფორმა, უკვე გაფორმდა 6 აფილირების ხელშეკრულება (5 პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი). ეს პროცესი აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ 37 ვაკანსიაზე კონკურსის შემდეგაც გაგრძელდება. აკადემიური პერსონალის რაოდენობა გაიზარდა 26-ით (მათ შორის 9 ახალი პროფესორი, 5 ახალი ასოცირებული პროფესორი და 12 ახალი ასისტენტ პროფესორი) და აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობამ 34-ს მიაღწია. ამჟამად კურსების უმეტესობა ხორციელდება აკადემიური პერსონალის მიერ ან მისი მითითების საფუძველზე. პროგრამაზე, ასევე, დასაქმებულია 58 მოწვეული ლექტორი. შედეგად, კურსებისა და მოდულების 80% დაკომპლექტდა 2 ან მეტი მასწავლებლით, რაც წინა აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაცია იყო. გადაიხედა და შესაბამისობაში მოვიდა პერსონალის კომპეტენცია მათ მიერ ჩასატარებელ კურსებთან დაკავშირებით.

პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად დაგეგმილია მომავალი სტუდენტების რაოდენობა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის მიხედვით. თუკი მისაღები სტუდენტების რაოდენობა იზრდება, მაშინ საჭირო იქნება დეტალური ანალიზი როგორც სწავლების მოცულობის, ასევე პერსონალის მოტივაციისა და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით პრე-კლინიკური წლების განმავლობაში. განსაკუთრებით დამაფიქრებელია „სხეულის სისტემების“ სასწავლო პერსონალის გადატვირთვის შესაძლებლობა (ერთი და იგივე 10-11 მასწავლებელი პირველი 4 სემესტრის განმავლობაში) და ამის თანმდევი ვარდნა სწავლების ხარისხის კუთხით.

დაწესებულებამ უნდა აჩვენოს მეთოდოლოგია სამედიცინო სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დასადგენად, სადაც ნაჩვენებია აკადემიური საათების მინიმალური რაოდენობა და სასწავლო დატვირთვა. რეკომენდირებულია პერსონალის მართვის პოლიტიკა და გამჭვირვალე დატვირთვის სქემა, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის ეფექტურ ჩართულობას სამედიცინო განათლების პროცესში.

კლინიკური სწავლება და ხელმძღვანელობა უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენტური პირის მიერ, რომელსაც აქვს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება. ასეთი სტატუსი უნდა იყოს დოკუმენტირებული, აუცილებელია კლინიკური მასწავლებლის თითოეული კატეგორიის მინიმალური აკადემიური კვალიფიკაციის რეგულირება. თუმცა, ამჟამად არ არსებობს არანაირი მტკიცებულება კლინიკური მასწავლებლების მომავალი მუშაობის შესახებ. კლინიკური მენტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება დარგობრივი მახასიათებლებით; შესაბამისობის დონე რეგულარულად უნდა შემოწმდეს და ამას შეიძლება დაემატოს კლინიკური სწავლების ხარისხის კოლეგების მიერ შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- უნივერსიტეტის ვებსაიტი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

მკაფიოდ განისაზღვროს კლინიკური ხელმძღვანელების როლი და ადგილი პროგრამაში მათი ფუნქციების ჩათვლით. კლინიკური მენტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება დარგობრივი მახასიათებლებით; შესაბამისობის დონე რეგულარულად უნდა შემოწმდეს,

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- აკადემიური პერსონალი ჩართული იყო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაში, თუმცა პროგრამის შემუშავების მიზნით შეიძლება არსებობდეს უფრო ძლიერი კავშირები შესაბამის შრომის ბაზართან და დამსაქმებლებთან.
- საჭირო იქნება დეტალური ანალიზი როგორც სწავლების მოცულობის, ასევე პერსონალის მოტივაციისა და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით პრე-კლინიკური წლების განმავლობაში.
- დაწესებულებამ უნდა აჩვენოს მეთოდოლოგია სამედიცინო სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დასადგენად, სადაც ნაჩვენებია იქნება აკადემიური საათების მინიმალური რაოდენობა და სასწავლო დატვირთვა.
- სასურველია პერსონალის მართვის პოლიტიკის და დატვირთვის გამჭვირვალე სქემის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის ეფექტურ ჩართულობას სამედიცინო განათლების პროცესში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლესი სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი მუდმივად აფასებს სწავლის შედეგებს და ადარებს მათ წინა პერიოდის მსგავს მაჩვენებლებს. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ანალიზი 2020 წლიდან დაიწყო და პირველი დინამიური შედარება წინა პერიოდის შედეგებთან 2022 წელს მოხდება. ამასთან, უნივერსიტეტს არ ჰყავს აფილირებული პერსონალის დიდი რაოდენობა და პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ამ მაჩვენებლების გაზრდა. მედიცინის სკოლა არის შედარებით ახლად დაარსებული სასწავლო ბაზა უნივერსიტეტში და მისი ერთ-ერთი პრიორიტეტია სამეცნიერო კვლევის შედეგების პოპულარიზაცია, ინტერნაციონალიზაცია და განხორციელება. საგანმანათლებლო დონეზე, მისი ერთ – ერთი მთავარი მიზანია სტუდენტთა სამეცნიერო – კვლევითი

უნარების განვითარება და მათი დაინტერესება კვლევით პროექტებში ჩართვით. ექსპერტთა საბჭო წუხს, რომ კვლევის სტრატეგიის მკაფიო იდენტიფიკაცია და პერსონალის მიერ ჩატარებული შესანიშნავი სამეცნიერო აქტივობების აღიარება არ არის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში. იმის გათვალისწინებით, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს უმაღლესი სასწავლებელი კვლევით საქმიანობასა და შედეგებს, მათ შეიძლება განიხილონ, რომ ეს უფრო მკაფიოდ იყოს გამოხატული ორგანიზაციული სტრუქტურების მეშვეობით და ამიტომ, სამედიცინო სკოლის კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით, შემოთავაზებულია საკონსულტაციო საბჭოს (აკადემიური საბჭოს) შექმნა. ამ საბჭომ, როგორც ფაკულტეტის საბჭოს ქვეკომიტეტმა, რომელსაც თავმჯდომარეობს ვიცე-დეკანი სამეცნიერო საკითხებში, უმაღლესი სასწავლებლის თავმჯდომარეობასთან ერთად, შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს კვლევის პოლიტიკის განსაზღვრაში, პრიორიტეტული კვლევის თემების შერჩევასა და განვითარებაში და წახალისოს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისევე როგორც სტუდენტები, ჩაერთონ ამ აქტივობებში. ჯამში, არსებული ვითარება მისაღებია, მაგრამ ამან უნდა ითამაშოს საწყისი წერტილის როლი უფრო მიზანზე ორიენტირებული, სამედიცინო მეცნიერებასთან დაკავშირებული და დაგეგმილი აქტივობების უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- უნივერსიტეტის ვებსაიტი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- სამეცნიერო, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ყველა წევრის სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვისთვის რეკომენდებულია აკადემიური მრჩეველთა საბჭოს ან მსგავსი ორგანოს შექმნა სამედიცინო სკოლის პრიორიტეტულ კვლევით თემებზე მუშაობის გაძლიერების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- თუ არსებობს კვლევის პროექტების განსახორციელებლად გარე დაფინანსების მოძიების საჭიროება, მაშინ დაწესებულებამ, შესაძლოა, იფიქროს აკადემიური პერსონალის უზრუნველყოფა ექსპერტული დახმარებითა და ტრენინგებით საგრანტო განაცხადებისა და საპროექტო წინადადებების შემუშავებაში.
- სასარგებლო იქნება კვლევის შედეგების მუდმივი და სისტემატური მონიტორინგი პირველი წლების განმავლობაში პროგრამის ხარისხისა და საერთაშორისო

ხილვადობის გაზრდის მიზნით.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.3 მატერიალური რესურსი</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>მედიცინის სკოლა ფლობს ყველა ინფრასტრუქტურას სასწავლო გეგმის განხორციელებისთვის; სასწავლო აღჭურვილობა და შესაბამისი გამოყენების ინსტრუქციები შესაბამისობაშია აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებთან. ამასთან ერთად, მას აქვს კარგად აღჭურვილი სალექციო დარბაზები, პროექტორებითა და კომპიუტერებით, სიმულაციური ცენტრი, სამუშაო ფართები სტუდენტებისათვის, ასევე, თავისუფალად ხელმისაწვდომი სამუშაო ადგილები. არსებობს უნივერსიტეტის აფილირებული კლინიკის აშენების გეგმები.</p> <p>უნივერსიტეტს გააჩნია კარგად-აღჭურვილი კლინიკური უნარების ლაბორატორია სიმულაციური შესაძლებლობებით, რათა ხელი შეუწყოს პრაქტიკული უნარების განვითარებას, მაგრამ კლინიკური უნარების ლაბორატორიაში ოთახი არ არის საკმარისი ბევრი სტუდენტის პრაქტიკისა და ტრენინგებისთვის. გარდა ამისა, არ არის პერსონალი, რომელიც დაეხმარება სასწავლო პროცესს და დააკმაყოფილებს სტუდენტების საჭიროებებს. ადგილზეა სადგურები, რომლებიც უკვე გამოიყენება ობიექტურად</p>

სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდებისთვის.

საერთო ჯამში, სტუდენტებს აქვთ მასტიმულირებელი სასწავლო გარემო, შესაბამისი აღჭურვილობით, ფართით და ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობებით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია საჭირო საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით და უზრუნველყოფს საერთაშორისო აკადემიურ მონაცემთა ბაზებს, ჟურნალებსა და ელექტრონულ წიგნებს. IT აღჭურვილობის მდგომარეობა და ფუნქციონირება დამაკმაყოფილებელია. საბიბლიოთეკო რესურსები ასევე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის გარეთაც. თუმცა, პროგრამის სილაბუსებში იდენტიფიცირებული ძირითადი ლიტერატურა სრულად არ არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, არც ბეჭდური და არც ციფრული სახით (მაგ., ბრიუს ეიმსის უჯრედის მოლეკულური ბიოლოგია, სავალდებულო ლიტერატურის რეკომენდაცია სილაბუსებში). იგივე შეფასება მოქმედებს სწავლების პროცესში ჩართული პარტნიორი კლინიკური დაწესებულებებისთვის, აფილირებულ საავადმყოფოებში ძირითადი პრაქტიკული სწავლების ბაზებისთვის, კლინიკები რეგულარულად შეფასდება პრაქტიკულ სასწავლო პროგრამასთან მიმართებით მათი შესაბამისობისა და ხარისხის მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია განახლდეს კლინიკური უნარების ლაბორატორია სტუდენტების შესაბამისი რაოდენობის პრაქტიკის და სწავლების მიზნით;
- სილაბუსებში ჩამოთვლილი სასწავლო მასალა, რეკომენდებული ტომები (ნაბეჭდი ან ელექტრონული ვერსიები) უნდა იყოს ხელმისაწვდომი და განახლებული. პროგრამა არის ახალი; ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ უახლესი გამოცემები იყოს ხელმისაწვდომი შესაბამისი რაოდენობით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გააუმჯობესოს ლაბორატორიის ინფრასტრუქტურა იმისათვის რომ ხელი შეუწყოს სტუდენტებს გამოცდილების შეძენაში. ლაბორატორიები აღჭურვილია პრაქტიკული კურსებისთვის პათოლოგიაში (მიკროსკოპები) და ბიოქიმიაში, თუმცა საჭიროა დამატებითი გაუმჯობესება, რათა ისინი შესაბამისი იყოს უფრო კომპლექსური დემოსტრაციებისთვის ან სამეცნიერო კვლევებისთვის.
- კლინიკურ განათლებაში სასურველია მთავარი სასწავლო ბაზების (კლინიკური საავადმყოფოების) რეგულარული შეფასება იმის დასადგენად, თუ რამდენად შესაბამისი და ხარისხიანია პრაქტიკული სასწავლო პროგრამისთვის. ასევე სასურველია, განსაზღვრული შესრულების ინდიკატორების მონიტორინგის, შეფასებისა და განახლების მექანიზმები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინფორმაცია მოკლევადიანი ბიუჯეტის შესახებ, რომელიც სპეციალურად გამოიყოფა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის შემუშავებისთვის და ზუსტი, დეტალური გამოთვლები არ არის მოწოდებული თვითშეფასების დოკუმენტებში. მიუხედავად ამისა, უსდ-ის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის მომზადება და რესურსების მართვა სიფრთხილით წარიმართება და ხელმისაწვდომი იქნება ფინანსური რესურსები პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობისთვის. ადმინისტრაციასთან და ფაკულტეტის წევრებთან ადგილზე ინტერვიუებმა აჩვენა მტკიცებულებები იმისა, რომ არსებობს ძლიერი ფინანსური მენეჯმენტი, აქცენტი ხარჯების ეფექტიანობასა და შემოსავლის ახალი წყაროების მოზიდვაზე. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ნდობას დაწესებულების ახალი პროგრამის მომავალთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ ფაკულტეტმა განაგრძოს თავისი ძალისხმევა, ყოველწლიურად დაბალანსებული ფინანსური შედეგების მისაღწევად.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ რეკომენდაცია (რეკომენდაციები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ დიპლომირებული მედიკოსის შემოსავლები და ხარჯები და კლინიკური ჰოსპიტალის ინტეგრირება ფაკულტეტის ფისკალურ ცხოვრებაში უნდა იყოს გამჭვირვალე. უნდა დარეგულირდეს ბიუჯეტის გადანაწილების წესი და საგანმანათლებლო ერთეულებს შორის შიდა გადანაწილების წესი თუ გადაწყვეტილებები. ○ დამატებითი დაფინანსების მობილიზების დამატებითი შესაძლებლობის შემთხვევაში, განსაკუთრებით გრანტებისა და სამეცნიერო აქტივობების მხარდაჭერა უნდა მოხდეს გამჭვირვალე წესით.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
<p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ძლიერია საგანმანათლებლო პროგრამის ყველა ასპექტის დაგეგმვისა და უწყვეტი შეფასებისა და მონიტორინგის თვალსაზრისით. სისტემა თანამშრომლობს პროგრამის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, რასაც მოწმობს ექსპერტთა გუნდის ინტერვიუები ყველა მხარესთან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ურთიერთობის საკითხზე. PDCA ციკლის შემდგომ შესრულებული პროცესი გამჭვირვალეა ყველა დაინტერესებული მხარისათვის, რაც მოიცავს ხელმძღვანელობას, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს. სტუდენტების გამოკითხვები მათი კურსის, სასწავლო მასალის ხარისხის, ობიექტებისა და ინსტრუქტაჟის შესახებ ტარდება კურსების გავლის შემდეგ და ეს ინფორმაცია, გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირებით, მიეწოდება შესაბამის აკადემიურ პერსონალს, კომიტეტებს, ხელმძღვანელობას. თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ როგორ იქონია გავლენა სტუდენტების გამოხმაურებამ ახალი ინიციატივების შემუშავებაზე სწავლებასა და შეფასებაში, ასევე კურიკულუმის უფრო ღრმა ინტეგრაციაში, როგორც ჰორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურად; პროცესმა გამოავლინა და აღმოფხვრა კურიკულუმის, აგრეთვე დამხმარე სერვისებისა და ობიექტების სუსტი მხარეები. ტექსტში მოყვანილია მაგალითები.</p> <p>კავკასიის უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, მისი განხორციელებისათვის საჭირო რესურსების და აკადემიური პერსონალის შეფასებისა და გაუმჯობესების ხელშეწყობაზე.</p> <p>ხარისხის განვითარება ხორციელდება PDCA (დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე) ციკლით. ხარისხის განვითარების პოლიტიკა შეიცავს პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების წესებს; არსებობს პერსონალის საქმიანობის (მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი) და მათი პროდუქტიულობის შეფასების წესები. გარდა ამისა, გეგმაში შეტანილია სტუდენტებში აკადემიური მოსწრების მონიტორინგის, კურსდამთავრებულთა დასაქმების, თანამშრომელთა დამოკიდებულების და შრომის</p>

ბაზრის კვლევის ინსტრუმენტების გაუმჯობესება. ინტერვიუს დროს გუნდმა (როგორც ლექტორებმა, ასევე სტუდენტებმა) დაადასტურა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს შიდა და გარე შეფასების მექანიზმებს. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის შესაფასებლად გამოიყენება სხვადასხვა მექანიზმები, როგორცაა: სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვები, სასწავლო პროცესისა და საგამოცდო მასალების მონიტორინგი, გამოცდები, აკადემიური მოსწრების ანალიზი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა და ა.შ. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან და საჭიროების შემთხვევაში იღებს საჭირო რჩევებს. დეპარტამენტი აძლევს რეკომენდაციებს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, როდესაც შეფასების შედეგები მოითხოვს კონკრეტული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ატარებს სტუდენტების ყოველწლიურ გამოკითხვას (ე.წ. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა), ასევე შეხვედრებს სხვადასხვა ფოკუს ჯგუფებთან აკადემიური პროგრამებისა და მათი ეფექტური განხორციელებისთვის აუცილებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პროცესების გასაუმჯობესებლად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალი ჩართული იყო თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში. ისინი მონაწილეობდნენ პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენაში. ინტერვიუების დროს ყველა გამოკითხულმა დაადასტურა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და დაგეგმილია თვითშეფასების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა, პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტი
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობასთან, ყველა დონის აკადემიურ პერსონალთან, ყველა საფეხურის სტუდენტთან, კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა პრიოდულად ფასდებოდა გარე ექსპერტების მიერ. გარე შეფასებისა და მიღებული რეკომენდაციების შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შექმნა კომპონენტი "ხარისხის უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურებაში" ჯანმრთელობისა და ჯანმრთელობის მართვის კურსში. მათ დაგეგმეს საზაფხულო სტაჟირებისა და სტუდენტური სტაჟირების უკეთ ორგანიზება (თეორიული ლექციები, პრაქტიკული სემინარი/პრეზენტაცია, ადგილზე მკურნალობის თუ დიაგნოსტიკური პროცესის ნიუანსების გაცნობა, მოკლე ესეს და/ან ჯგუფური პრეზენტაციის მომზადება. ეს გამოცდილება აისახება სტუდენტების პორტფოლიოში); უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების ფართო ჩართულობა ფართო საერთაშორისო თანამშრომლობაში (გაცვლითი აქტივობები, სამეცნიერო თანამშრომლობა, ერთობლივი კონფერენციებისა და პლატფორმების ორგანიზება, კულტურულ ღონისძიებებში ჩართვა და სახალხო დიპლომატია).

მხედველობაში იქნა მიღებული ამერიკელი ექსპერტის მოსაზრება სტრუქტურირებული კლინიკური კვლევების, მინი-კლინიკური შეფასების სავარჯიშოების, პორტფოლიოს და შეფასების სხვა თანამედროვე მეთოდების დანერგვის შესახებ, ასევე მოსაზრება შემთხვევებისა და შესაბამისი სცენარის ჯგუფების მომზადების აუცილებლობისა და მონაცემების განახლების შესახებ.

ინტერვიუს დროს, ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ პერიოდულად რამდენჯერმე ჰქონდათ გარე შეფასება, რომელსაც ატარებდნენ სფეროს ექსპერტები როგორც საქართველოდან, ასევე საზღვარგარეთიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეგულაციები

<ul style="list-style-type: none"> ○ გარე ექსპერტების შეფასება ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p> <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
--

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაადასტურა თვითშეფასების ანგარიშის მტკიცება იმის შესახებ, თუ როგორ ხდება კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფისათვის.

კურსების კვლევა წარმოებს სისტემატურად სტუდენტების მხრივ სწავლების ხარისხის აღქმის, სწავლის შედეგებით კმაყოფილების, ობიექტებით კმაყოფილების შესახებ და ეს მონაცემები გადაეცემა აკადემიურ პერსონალს, აგრეთვე შესაბამის სამეთვალყურეო ორგანოს / კომიტეტს.

ინტერვიუს დროს სტუდენტებმა და პერსონალმა დაადასტურა, რომ მათ რეგულარულად უტარდებათ გამოკითხვები პროგრამის შესაფასებლად.

აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კურსის შეფასების შედეგებს ისინი იყენებენ კურსის გასაუმჯობესებლად. სტუდენტების მოსაზრებების საპასუხოდ ცვლილებები შევიდა პრაქტიკის ზოგიერთ ნაწილში, მაგალითად, შეიცვალა ცხრილები, ჩანაცვლდა კურსები, განახლდა სასწავლო მასალები და ლიტერატურა.

პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პერსონალი აკვირდებიან საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების მიზნებს და სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას წინასწარ განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების შესაბამისად.

სტუდენტები აფასებენ საგანმანათლებლო კურსებს და ლექტორებს ყოველ სემესტრში. ასევე ყოველი სემესტრის შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახორციელებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრების მონიტორინგს, რომლის შედეგები მუშავდება სასწავლო კურსების, ლექტორებისა და სკოლების მიხედვით.

უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტთა ყოველწლიურ გამოკითხვას, რომლის მეშვეობითაც ისინი აფასებენ უნივერსიტეტში მიღებულ სერვისებს: ბიბლიოთეკის, საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა მომსახურებას.

დამკვიდრებულია პროგრამის შედარების პრაქტიკა უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობის ანგარიში გამოკითხვის შედეგების თაობაზე.
- ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 49

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

[აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის](#)

მიჰაი ბოროში

[აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ\(ებ\)ის](#)

ირინე ფხაკაძე

თამარ გოდერიძე

მარინე თოიძე

გიორგი მღვდელაძე